**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბერძნიშვილი (ბერძენოვი) ნიკოლოზ გიორგის ძე

ბერძნიშვილი (ბერძენოვი) ნიკოლოზ გიორგის ძე [4 (16). IX. 1829, სოფ. არდონი, ახლანდ. ჩრდ. ოსეთი, – 1874, თბილისი], ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და კრიტიკოსი.

XIX ს. 50–60-იან წლებში აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. „კავკაზში“, რ-საც ერთხანს კიდეც რედაქტორობდა.

ბ-ს ეკუთვნის დიდი ნაწილი რუს. ენაზე გამოცემული წიგნისა „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (1870) და გამოკვლევა „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“ (1869, რუს. ენაზე), აგრეთვე ეთნოგრ. ნარკვევები საქართველოსა და ჩრდ. ოსეთზე.

1864–74 იგი კავკ. არქეოგრაფიული კომისიის წევრი იყო და მონაწილეობდა ამ კომისიის „აქტების“ შედგენა-გამოცემაში. საყურადღებოა „კავკაზში“ გამოქვეყნებული მისი *ლიტ.*-კრიტ. წერილები.

ბ. ქართ. რეალისტური *სალიტ.* კრიტიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მან ყურადღება გაამახვილა სინამდვილის მხატვრული ასახვის, ეროვნ. თემატიკის მნიშვნელობის, ტიპურობის საკითხებზე, მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპებზე და სხვ.

*თხზ.*: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის (ქრესტომათია), შედგ. ს. ხუციშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1954.

*ლიტ.*: ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, [ტ.] 1, თბ., 1974; Б а к р а д з е Д. З., Бердзенов и его литературная деятельность, Тфл., 1874.

***ჯ. ჭუმბურიძე***

---